აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

დავით
ჩერქეზიშვილი

რეგიონული ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების შესაძლებლობა საქართველოში

(აჭარის მაგალითზე)

რეგიონული ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების შესაძლებლობა საქართველოში

დავით
ჩერქეზიშვილი

რეგიონული ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების შესაძლებლობა საქართველოში

(აჭარის მაგალითზე)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი - 2019

უდკ (UDC) 338.22(4)
ჩ-492

მეცნიერ-რედაქტორი / Scientist-Editor:

შალვა მაჭავარიანი / SHALVA MACHAVARIANI
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
Dr. of Economics, professor

რეცენზენტები / Reviewers:

მიხეილ თოქმაზიშვილი / MIKHEIL TOKMAZISHVILI
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი / Dr. of Economics, Professor

გელა გრიგოლაშვილი / GELA GRIGOLASHVILI
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი / Dr. of Economics, Associate Professor

© დოქტ. დავით ჩერქეზიშვილი, რეგიონული ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების შესაძლებლობა საქართველოში, თბილისი, 2019 / DR. DAVID CHERKEZISHVILI, CONDITION OF REGIONAL BUSINESS AND ITS DEVELOPMENT PERSPECTIVE IN GEORGIA, TBILISI, 2019.

© აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი / East European University, 2019

ISBN 978-9941-9626-4-6

DAVID
CHERKEZISHVILI

CONDITION OF REGIONAL BUSINESS AND ITS DEVELOPMENT PERSPECTIVE IN GEORGIA

(EXAMPLE OF ACHARA)

EAST EUROPEAN UNIVERSITY

თბილისი - 2019

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 8

თავი I. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები 10

I.1. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორია და მეთოდოლოგია 10

I.2. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება 25

I.3. რეგიონული სოციალური სივრცე და ბიზნესგარემო, როგორც რეგიონში მეწარმეობის განვითარების საფუძველი 35

თავი II. ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა აჭარის რეგიონში 41

II.1. საქართველოში ბიზნესის განვითარების მიმოხილვითი ანალიზი და მასში აჭარის რეგიონის ადგილი და როლი 41

II.2. ბიზნესის განვითარების ანალიზი და შეფასება აჭარაში შიგარაიონულ ჭრილში 61

II.3. აჭარის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოკვეთა 71

თავი III. აჭარაში ბიზნესინკუბატორების მეშვეობით მეწარმეობის განვითარების კონცეფცია 81

III.1. არსებული მდგომარეობის შეფასება 83

III.2. კონცეფციის ზოგადი დებულებები 91

III.3. ბიზნესინკუბატორის ცნება და სტატუსი 94

III.4. ბიზნესინკუბატორების განვითარება მსოფლიოში (ზოგადი მიმოხილვა) 98

III.5. ბიზნესინკუბატორების განვითარების მიზნები, ამოცანები და ძირითადი პრინციპები 104

III.6. ბიზნესინკუბატორების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მუშაობის წესი 108

III.7. ბიზნესინკუბატორების მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა 112

III.8. ბიზნესინკუბატორის დაფინანსების წყაროები 115

III.9 აჭარაში ბიზნესინკუბატორების დაფუძნებისა და განვითარების კონცეპტუალური ჩარჩომოდელი 116

დასკვნა 136

რეკომენდაციები 142

გამოყენებული ლიტერატურა 144

წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია ჩემი სადისერტაციო ნაშრომის – „რეგიონული ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში“ – ერთგვარი გაგრძელებაა, რომელიც დაფუძნებულია სტატისტიკურ კვლევებზე და ასახავს თანამედროვე საქართველოს მეტად აქტუალურ პრობლემატიკასა და მათი გადაჭრის გზებს.

წარმოდგენილ მონოგრაფიაზე მუშაობა ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. მასში შეფასებულია რეგიონის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობის ძირითადი ასპექტები და მომავალში მისი განვითარების გზები. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ შალვა მაჭავარიანს, რომელმაც თავისი პროფესიონალიზმითა და დიდი გამოცდილების წყალობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის სრულყოფაში.

თავის დროზე შემთხვევით არ იყო შერჩეული აღნიშული თემა და, ზოგადად, არც საკუთარი თავის ხილვა ახალ გამოწვევაში – დოქტორანტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ვიდრე დოქტორანტურაში სწავლის გადაწყვეტილებას მივიღებდი, ჩემი აკადემიური ხარისხი ორ მიმართულებას მოიცავდა (მაგისტრი – მენეჯმენტი, კერძო სამართალი), მაინც მნიშვნელოვან საკითხად ჩავთვალე სადოქტორო თემაზე მუშაობა, რასაც, ასევე, განაპირობებდა ჩემი თითქმის ოცწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა წელს დაკავშირებული იყო რამდენიმე სფეროსთან (ენერგეტიკა, განათლება, მედიცინა), ყველა სფეროში ჩემს პირად მოვალეობას მენეჯმენტი წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლების განმავლობაში მიწევდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საქმიანობა და უშუალო შეხება მქონდა რაიონების პრობლემების მოგვარების საკითხებთან, ამასთანავე, ახლოს გავეცანი რეგიონის პრობლემებსა და თავისებურებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა სადოქტორო თემის შერჩევა, რომელიც რეგიონულ პრობლემატიკას შეეხებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე სამყაროში ბიზნესის განვითარებასთანაა დაკავშირებული (განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესთან) ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საშუალო ფენის ჩამოყალიბება და ა.შ., ხოლო ბიზნესი, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესი, უნდა ვითარდებოდეს არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, არამედ რეგიონებშიც და, შესაბამისად, ქვეყანა უნდა შედგებოდეს თანაბრად განვითარებული რეგიონებისაგან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში დღესდღეობით პრობლემები მწვავედ დგას.

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ ევგენი ბარათაშვილის ღვაწლი. მან კვალიფიციური რჩევებითა და ყოველმხრივი ხელშეწყობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სადისერტაციო თემის წარმატებით დამუშავებასა და დაცვაში. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ რამაზ ოთინაშვილისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორის, ბატონ ნიკოლოზ ჩიხლაძის როლი, რომლებმაც თავიანთი კრიტიკული აზრითა და კვალიფიციური შეფასებებით ფრიად სასარგებლო რეკომენდაციები წარმოადგინეს, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ მონოგრაფიაში.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგების ნაწილი გამოქვეყნებული იყო სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე და ასახულია სადისერტაციო ნაშრომში, ხოლო ნაწილი კვლევებისა შესრულდა სპეციალურად აღნიშნული მონოგრაფიისთვის. ნაშრომში განხილულია რეგიონში ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და აჭარის რეგიონის მაგალითზე მოცემულია პრობლემების დაძლევის რიგი შესაძლებლობები. მონოგრაფიამ მოიცვა რეგიონული ეკონომიკური პრობლემები და თანამედროვე მრავალფუნქციური ბიზნესინკუბატორების მეშვეობით რეგიონის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირობები, ხოლო საქართველოს რეგიონების განვითარების ყოველმხრივ შეწონილი ანალიზი შემდგომი ნაშრომის ძირითადი თემაა.

წარმოდგენილი მონოგრაფია განკუთვნილია მათთვის, ვისაც აინტერესებს საქართველოში ბიზნესის განვითარება და, ზოგადად, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება.